საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

24.12.2024

N 5631

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს ს. ჭელიძეს

თქვენი 2024 წლის 14 ნოემბრის N6/65616 წერილის პასუხად, ქალაქ თბილისში მდებარე, 01.19.13.001.247 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის, ფართით 5959 კვ.მ პრივატიზების შესახებ გაცნობებთ რომ, სამომავლოდ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის სამშენებლო პროექტი საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან" და დაცულ იქნას საგაბარიტო ზომები-განაპირა ლიანდაგის ღერძიდან არანაკლებ 11 მეტრი.
ვინაიდან უცნობია უძრავი ქონების გამოყენების სამომავლო პერსპექტივა, დამატებით გაცნობებთ რომ, მასზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა"-ს 3.8 და 6.8 პუნქტების, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები. უძრავ ქონებაზე გავრცელებული სხვა შეზღუდვები დამოკიდებულია განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.
საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა"-ს პუნქტი 6.8-ის მოთხოვნის თანახმად - საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გამოცალკევდეს რკინიგზის ხაზებისაგან სანიტარულ-დამცველი ზონებით სიგანით 100 მ., ათვლა ხდება განაპირა სარკინიგზო ლიანდაგის ღერძიდან. იმ შემთხვევაში, როცა რკინიგზის ხაზი განლაგებულია ჭრილში ან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ხმაურისგან დასაცავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო ნორმების და წესების II-12-77-ის მოთხოვნებს, - დასაშვებია სანიტარულ-დამცველი ზონის სიგანე შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 50 მეტრით.
ზემოაღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების (5959 კვ.მ) განკრგვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე

თამარ მეფის გამზირი N15
თბილისი, საქართველო 0102

N15, Tamar Mepe Ave
0102, Tbilisi, Georgia 0102

Tel : 219-95-67 ; 219-91-59
Mail : Kancellary@railway.ge

ს/კ : 202886010

3 № 015325